კვირა, 27 სექტემბერი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

ეშმაკიკ-მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 21

ქართველი ინტელიგენტები.

თუ ჩემი მცირე მსჯელობა
დიდათ არ დამეძრახება,
ქართველი ინტელიგენტის
მსურს გამოვხატო სახება.

ქართველი ინტელიგენტი!
ოჰ, რა დიადი ცნებაა!!!
(მე ასე ვფიქრობ... თქვენი კი,
თქვენ იცით... თქვენი ნებაა!)

მე ის მყავს წარმოდგენილი
მამულის მთავარ ბურჯათა...
(რა ვუყოთ „სკანდალისაგან“
ზოგს სახე ჰქონდეს ლურჯათა!)
ენერგიული, მოსაქმე,
განთქმული მამაცობითა...
(შენამკობ დანამშვენები
წინ ხავსით, უკან ობითა!)
სიტყვას გაურბის... უმეტეს
საქმეზე გადანაგები.
(იმათი დინჯი მსჯელობა
თითონაც გინახავთ ეგები!)
შრომაში მათგანს თვითეულს
ხელით ზღვა დაედინება!
(ორჯერ ჩამოჰკრავს, მესამედ
ჩასთვლემს და ჩაეძინება!)
უცხოელსავით როდი გრძნობს
იგი თავს სალახანადა!!
(ევიწროება ცა ქუდათ
და მიწა ქალამანათა!)
წინდახედული, ფხიზელი,
მუდამ შრომაში გართული.
(„დაუდევრობა“ არც იცის
სიტყვა თუ არის ქართული!)
სიმტკიცე ხასიათისა
თანა სდევს განუყრელათა...
(და გასაკვირიც არ არის
რომ მოქმედებდეს ჭრელათა!)
გზა გარკვეულათ სთელავენ
სამშობლო ქვეყნის კალთასა
და არხეინათ მიდიან
ექ ალთას,
იქით ბალთასა.

ეშმაკი.

თაგუხას დაკარგვა.

თაგუნას დაკარგვის ამბავი ელვის სისწრაფით მიედო მთელ ქალაქს. ათას-ნაირი მითქმა-მოთქმა და ჭორები გავრცელდა, ვინ რას ამბობს და ვინ რას. ზოგიერთების აზრით ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგიერთები გადაწყვეტით ამბობენ რომ „თაგუნას დაკარგვას“ სახალხო დუმასთანაც აქვს კავშირიო. ერთი სიტყვით, ვინ რას ამბობს და ვინ რას. ჩვენ რომ უფრო ნათლად და გარკვევით გავაცნოთ ჩვენი მკითხველები ამ უცნაურ მოვლენას და აგრეთვე სწორე, ცოტათ თუ ბევრად ნამდვილი მნიშვნელობით გამოვარკვიოთ ეს მოულოდნელი შემთხვევა თაგუნას შესახებ, გადავსწყვიტეთ შევკითხოდით ჩვენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს და მათი აზრი გაგვეგო. აი რას ამბობენ ისინი:

იოსებ იმედაშვილი.

როცა თქვენი კორენსპონდენტი შევიდა ი. იმედაშვილის კაბინეთში, ჩვენი გამოჩენილი-პუბლიცისტ-ხელოვნების ღმერთი და რედაქტორი „თეატრი და ცხოვრებისა“, თავის ერთ ერთ მარგალიტ მეთაურს სწერდა თეტრისთვის, სახელდობრ: „ბანკის წმინდა მოციქული პართენი ანუ სხვის ჯიბეში ფულს რა უნდა! შესვლისთანავე თქვენმა თანამშრომელმა უთხრა: ბ. იოსებ! უბედურება! თაგუნა დაიკარგა!..

იოსებ იმედაშვილმა კალამი ხელიდგან გაგდო, მეთაურს ხელი დააფარა, სკამზე გადაწვა, სახე გაუწითლდა, ტუჩები ძირს დაუშვა, თვალები დახუჭა, ცხვირის წვერი გაუთეთრდა და დაიწყო გიჟივით ლუღლუღი: ეშ... ე-ეშ.., ეშმ...—ეშმ... ეშმ.—ეშმაკ. ეშმაკი დაიკარგა?!!! ეშმაკი აღარ არის?...!!!“ მერე წამოვარდა ზეზე და დაიწყო: მართალია მე მისი მადლიერი არ ვყოფილვარ, მარა მაინც ნიჭ... ნიჭ. გვარიანი ნიჭიერი ე. ი ეშმაკი იყო; არავის ზოგავდა, კარგი მისთვის არ სუფევდა, ჩემი მეთაურები თვით საუკეთესო მამული შვილებმა მოიწონეს და ის კი... ოხ-საღ არის, ერთი ვნახო, მაჩვენეთ მართლა მკვდარია თუ ეს სიზმარია! ხა-ხა-ხა-ხა. აი საქმე... აი კარგი საქმე. ეხლა ჩვენ ჟურნალს არაფერი უჭირს... ის დამცინოდა რომ მე ვინც ჩემს ჟურნალს იწერს, ვინც კითხულობს იმათ სურათებს ვათავსებდი,

ბატაგდი ჩემს ჟურნალში, მშობიარე ქალის სუ-
ათი, რომელმაც 6 შვილი შვა, ასეთი ხელოვ-
ება გამოიჩინა და რომლის სურათი ჩემს ჟურ-
ალში იყო, მას სიცილად არ ყოფნიდა. ისიც კი
ამიწუნა რომ მე პართენს. ამ ჩვენს ქვეყნის მხა-
ეს ადგილის აგიტაცია გაუკეთე საქანქრეთა. სა-
ოგადოებაში, კლუბის სტარშინები ვაქე: ეს კი-
ევ არაფერი წრეულს მე ბახმაროზე სახალხო
ეატრი აღმოვაჩინე, ის კი ამბობს რომ წელს კი
არა, რამდენი ხანია აშენებულია, მხოლოდ შენ
ელს შეგიტყვიაო. ვფიცავ რეცენზენტ გარიკს, ის
ეწესო კაცი იყო...ვმადლობ, ვმადლობ ღმერთსა!“.
ამას შემდეგ წაიშინა ხელები თავში და გული
ეუვიდა. წყალი ვაპკურეთ *) მოვაბრუნეთ და მი-
ი შეცდომა ავუხსენი რომ: ეშმაკი კი ღრა თაგუნა
ეაიკარგა“ მეთქი.

— ოჰ. ااا! როგორ, მაშ შენ რათ მითხარი
ეშმაკი დაიკარგაო.

ეშმაკი კი არა პატივცემულო პუბლი-ხელო-
ანცხად-კლიშისტო, თაგუნა! როგორ გგონიათ რა
ეზეზია რომ დაიკარგა.

იოსებ. თაგუნა ჩემი თანამშრომელია, მისი
ბუზების არშიყობა“ ჩემ ჟურნალში იყო დაბეჭ-
ილი და რათ დაიკარგა!? უსათუოდ განცხადებას
ვაებეჭდავ ჩვენი რედაქციის კორპორაციის სახელით,
ოგლოვებთ თანამშრომელს დ. დეპუტაციას გავ-
ზავნთ მის მოსანახავად. საცოდავი თაგუნა! ამას
ინეთ შემხვდა და მითხრა „ბ. იოსებ, განცხადე-
ებს და რეცენზიებს ვინ სწერს თქვენს გაზეთშიო“
ნუ თუ გაინტერესებთ“ მეთქი ვუთხარი. ძალიანაო!
ითხრა.

— ვინა და მე, თუ თქვენი საწყენი არ იქ-
ება მეთქი, ვუპასუხე. თაგუნა წელში გასწორდა,
ახე გაუბრწყინდა, ერთი ულვაში ზევით ასწია,
ორე ქვევით, ნესტოები გაებერა და სთქვა:

— ეგრე მოველოდიო. ვიცოდი რომ ეს შენი
ქნებოდა, ნამდვილი შენი, შენიო შენიო!! სულ
ოძახოდა, „აბა ამისთანა განცხადებებს ვინ დას-
ერდაო“. იოსები გაჩუმდა და რაღაც ოცნებას
ეცა; მერე უცებ თავი ასწია და მითხრა—„ეშმა-
სადა ბრძანდებაო“.

— კახეთში მეთქი უთხარი.

— მინდა ერთი რამ ვურჩიო ეშმაკს, მარა
ა ჩემსას რას დაიჯერებსო, თქვენ ისე უთხარით,
მას, ვითომ სადმე ყური მოჭარით. კახეთში ნუ
დადის, თორემ იქ ღვინის სმას მიეჩვევა და ეს
ნამდვილი ნიჭით სავსე ადამიანი, ეს ერთად ერთი
იუმორისტი დაგვეღუპება და ხომ იცით, ჩვენი
ქართველების საქმე: ჩვენს მოღვაწეებს ლოთობა
სჩვევიათ ე. ი. ღვინის—ზომით სმა არ იციან დ.
ვაი თუ... ხომ იცით... ვაი—თუ მოკვდ... დაი-
კარგოს და... წელან მგონი რაღაც ვილაპარაკე,
ისე... ხომ იცით. .ვიოხუნჯე. თქვენ ეშმაკს ნუ ეტ-
ყვით ჩემს ოხუნჯობაზე, მე რეპეტიცია გავაკეთე,
მინდა ჩვენს ქურუმებს „переживаніе“ ვასწავლო...

— თქვენი აზრი ბ. იოსებ—რატომ დაიკარ-
გებოდა თაგუნა?...

— რატომ-რატომ. განა არ იცით. ჯერ მაგა-
ზე ვერაფერს გეტყვით-ძალიან საშიშია, ხომ იცით
რა მოგველის... და შეუდგა მეთაურის გაგრძე-
ლებას.

იოსებ გედევანიშვილი.

ჩემი შეკითხვის შემდეგ პატივცემულმა მოღ-
ვაწემ ასე დაიწყო:

— თაგუნას დაკარგვით საქმე მეტად გართულ-
დება. აქ შესაძლებელია დიდ ამბებს მოველოდეთ,
რადგან მის დაკარგვას განსაკუთრებული სტრატე-
გიული მნიშვნელობა აქვს, მოსალოდნელია დიდი
ამბები დატრიალდეს. ცხადია აქ რაიმე ოინს ან
დემონსტრაციას აპირებს თაგუნა და, თუ მისი და-
კარგვა დიდხანს გაგრძელდა, მაშინ ხიფათს უნდა
მოველოდეთ. და თუ ეს გეგმა, სწორი, მიზან შე-
წონილი გეგმაა თაგუნასი, მაშინ მისი მთელი ხასია-
თის შეცვლას უნდა მოველოდეთ. ამ შემთხვევაში
მოულოდნელ სიურპრიზებთან გვექნება საქმე...
ჯერ არ ვიცით რომელი გზით დაიკარგა თაგუნა,
ისიც არ ვიცით რომელი ლარი ამოარჩია დასა-
კარგათ, ამას შემდეგ გავიგებთ, მხოლოდ ერთი კი
ცხადია: აქ საქმეს გაართულებს, გააჭიანურებს დ.
ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. გადაჭრით შეიძ-
ლება ითქვას, საქმე მეტად გაძნელდება, ამას მეტად
დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს მნიშვნელობა იმ-
დენად დიდია რომ ადვილად აიხსნება ის დაჟინება,
რომელსაც თაგუნა ასე მაგრა ებღაუჭება. ეს მოსა-
ზრება სამართლიანია მხოლოდ იმ შეეხთხვევაში,
თუ თაგუნა ცოტა ხნით იქნება დაკარგული... ისე
კი ცხადია მის დაკარგვას მნიშვნელობა აქვს, მაგ-
რამ შედეგებს ამ ახლო ხანში არ უნდა მოველ-
ოდეთ.

*) კიდევ კარგი ღვინო არ აპკურეთ. ეშმაკი.

თ. ღლონტი.

— ასეთი დაკარგვის მაგალითი ჩვენში ბევრი ყოფილა. სტატისტიკით ამის ახსნა ყოველთვის შეიძლება. მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ რომელ რაიონში არის დაკარგული თაგუნა... თბილისი განიყოფება მცხოვრებლების მხრივ შემდეგ ციფრებში:

ნავთლუღის რაიონი: 60000 მცხოვრებში სომეხი 79 პროც. ქართველი 13 პროც. რუსი 5 პროც. თათარი 2 პროც. სხვა და სხვა ეროვნება 1 პროც.

2. სოლოლაკის რაიონი. 100000 მცხოვრები სომეხი 86 პროც. ქართველი 9 პროც. რუსი 3 პროც. თათარი 0,19 პროც. და სხვა და სხვა ეროვნება 1,81! კიდევ აპირებდა პატივცემული სტატისტიკოსი ცნობების მოწოდებას, რომ ვიღაცამ ამბავი მოიტანმ „საქართველოისტები“ რედაქციის ფანჯარასთან დასეირნობენ და მგონი რაღაცას აპირებენო. მყისვე დაიხურა დარბაზი და „სახალხო ფურცლის“ რედაქცია ბნელმა მოიცო. მეც წამოვედი.

„საქართველოს“ რედაქციაში.

რადგან რედაქციის მთელი კორპორაცია „სახალხო ფურცლის“ რედაქციის ფანჯარებთან უნახავთ, ამიტომ იქ ჩვენ ვერავინ ვნახეთ.

ჭიკვარა.



მიკიჩას ჩიგილი.

(სცენა)

ვა, ეს ინჩხაბარე, ტო! როგორ თათრის კვდარივით გაგრძელდა ეს ვაინა, რა ამბავია! ციციანთ დავა გახდა რაღა! არც თავი ეტყობა, არც ბოლო. ისე მიდის საქმე რომ ლამის არის მეც გამაპრ[illegible] ჯონ. აფსუსი არ არის ვართანუშას დაქვრივებ[illegible] მერე რა ადამიანია ის წყეული ისა. გეგონებ[illegible] წმინდა სანთლიდან არის ჩამოქნილიო. კუკლაა რ[illegible] ღა, კუკლა უფლის მადლმა. ნეუჟელი მოი ვარ[illegible] ნუშ სვოი ბიკოვსკი გლაზა დრუგომუ ბუდიტ მ[illegible] გატ! ქრისტიანო, ასე ხელ-აღებით ყველას ვაინ[illegible] წასვლა გაგონილა! რომ არც პერვი რატნიკ აპ[illegible] ჩენიასა აქვს გასავალი და არც ვტოროის! ა[illegible] წითელი ბილეთი სჯრის, ადარც ლურჯი.

აი, ჩემ ბაშკას რა უთხრა, რა ჭკვა დავნ[illegible] ცხონებული მამაჩემი მებნებოდა: თუ გინდა ტ[illegible] ტერათ გამოგზდიო, მაგრამ მე ტუტუცმა რომ [illegible] დაუჯერე იმ ცხონებულს. დღეს ნამდვილი რ[illegible] ლია. რაღა ტერტერებისთვის? განა იმისთანა ხოცვ[illegible] ჟუჟვის წელიწადი დაუდგებათ როდისმე! ჯერ [illegible] ვაინამ გაავლო ქვეყანას მუსრი და ახლა კიდევ [illegible] ვერანა ხორველამ. რა უჭირთ, ქვეყანა ტერტერ[illegible] ბისაა რაღა! ერთ- ორ ტერმოლორმიას წაიბუტ[illegible] ტებენ და ვადადის მარცხენა ჯიბეში ფულები.

აი ხელობა და დახოდნი სტატია მესმის! [illegible] აცხონა ღმერთმა საწყალი მამაჩემი. დამეჯერებ[illegible] იმისთვის და პატარა ცერკოვნი კითხვა მესწავ[illegible] ტერტერა თუ არა ტირაცუა მაინც ვიქნებოდი [illegible] ამ ვაინს გადავრჩებოდი. ვა, ხუმბრობა ხომ არ ა[illegible] სიკვდილი! ერთი ნასლედნიკი მაინცა მყვანდეს [illegible] ჯანაბას ჩემი თავი. ნეუჟელი ჩემი სანთელი სვ[illegible] უნდა გაქრეს! საკვიველია უფლის მადლმა!

გოგია.

ვერანი!

(ბორდანბერ „ეშმაკური“ მიბაძვა).

მიმაცუნცროუკებს
(უგზო უკვლოდ)
ცხენი ვერანი!!
უკან გამოსჩანს
წითლად მისი
განაწერანი!

აჩუ, ვერანო,
შენს ხვანცარიკს
არ უჩანს ზღვარი
და ნიავს მიეც,
და შემუსრე,
ანბანთა ჯარი.

გაჰკვეთე „ნარი“
გაალე „ფარი“
გაანადგურე
„ანი“ და „ზენი“
აჩუ! გაჰქუსლე!
და შემიმოკლე
ქანქარიკისა
მიღების დღენი.

ცოტათი მაინც
ხომ დაფასდება
ეს ვაჟკაცური
ჩვენი კვეთება,
(თუ გზად ეშმაკი არ შეგვეყარა
და არ გვიჩვენა თამაშ-ფეთება!

ორი ცხენი.

(გაგრძელება)

ენკენისთვის დამლევს, როცა გასუქებულ-გალამაზებული ლურჯა მთიდან სოფლად ჩამოიყვანეს, მისი მეგობარი კუდა უკვე მეორე გუბერნიის ერთ-ერთ სამაზრო ქალაქში სამხედრო ხელოვნებას სწავლობდა.

სიმინდის ჩალასა და ჩხირების ტკვერაზე აღზრდილ კუდას უცებ ძირიანათ შეეცვალა ცხოვრების პირობები. მას თავის დროზე აკმევდენ ხოლმე თივას, ქერს; თავის დროზე სხვა ცხენებთან ერთად დაჰყავდათ მდინარეზე საბანაოთ და წყლის დასალევათ. თავის დროზე იურვებდენ და ასუფთავებდენ კერძოთ ამისათვის მიჩენილი ჯარის კაცები.

გარდა ყოველივე ზემოხსენებულისა, კუდა კარგ საზოგადოებაშიაც ჩავარდა. მარიალია შრომა აქაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროთ განათლებულ ამხანაგებთან უხდებოდა ყოფნა და ამან შესამჩნევად წასწია წინ მისი გონებრივი განვითარების საქმე.

მეექვსე თვის დამლევს კუდა უკვე საღათ მსჯელობდა ომის შესახებ თავის მეგობრებთან და აღარ უხდებოდა ისეთ უბრალო ვითხვებში ყურების ჩამოყრა და გაწითლება. რასაკვირველია, კუდა ისე არ იყო გარკვეული პოლიტიკურ კითხვებში, როგორაც მაგალითად ჩვენი გაზეთების სამხედრო მიმოხილველნი, მაგრამ ასეთ ღრმა ცოდნას არც ერავინ მოითხოვდა მისგან.

ბედმაც გაუღიმა ბედაურ კუდას, თითქო მისი განვლილი ცხოვრების ტინჯვა აწ სიხარულათ უნდა შეუცვალოსო. პირველი თვის დამლევიდანვე ის მარტოდ მარტო შეუბეს კ-ნი სოსოს ეტლში. კუდას ძლიერ ეუცხოვა ეს უჩვეულო ხელობა, მაგრამ ჩქარა საუცხოვო ტარება და ენერგია გამოიჩინა. ვინ იცის რამდენ ხანს დარჩებოდა ამ თანამდებობაში, რომ ერთი უბედური შემთხვევა არ წამოსწრებოდა.

იმ საღამოს, როცა კ-ნი სოსო დუქან-რესტორან „დათვიდან“ გამოვიდა მოწყალების და მარიამთან ერთად, ძლიერ მხიარული და კმაყოფილი მოსჩანდა. ფეხი სიხარულისგან ეშლებოდა და მწყობრათაც ვერ ლაპარაკობდა; სამაგიეროთ მთელი სახე სიამოვნების ღიმილით უღვიოდა. ორივენი რის ყოფით მივიდნენ ეტლამდე და მჭიდროთ ჩაეწყვენ შიგ, ვინაიდან ეტლის სივრცე ერთ მსხვილსა, ან უკიდურეს შემთხვევაში ორ წვრილ მგზავრზე იყო ნავარაუდევი. აქ კი კ-ნი სოსო, რომელიც ცნობილი იყო თავისი ახოვანებით და მასთან ერთად არა ნაკლებ სივრცის მარიამი!

კუდამ მაშინვე იგრძნო რაშიაც იყო საქმე. ეჭვები მასში თაობიდანვე აღძრა რესტორანის მსახურის, პატარა დათიკოს ჩუმმა და ქურდულმა სიცილმა. ის ცალი თვალით იჭვრიტებოდა ლიანფანჯრის კუთხიდან და პირზე ხელ მიფარებული სიცილით კვდებოდა, როცა სტუმრები დიდის გაჰივრებით კიბეზე ჩამოდიოდენ. — Впередъ Васька!

— დასძახა სოსომ და კუდაც დაიძრა. ღვედების უთავბოლო ტყლაშუნზეც ატყობდა კუდა, რომ მხედარს ხელები არ ემორჩილებოდა, მაგრამ ცხენი მაინც სცდილობდა ეტლი სამშვიდობო ალაგამდე ეტარებია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ რომ მგზავრები მოუსვენრად იჯდენ ისედაც პატარა კალათში და ხან იქით, ხან აქეთ იზნიქებოდენ. მარიამ ორჯერ კინაღამ გადმოვარდა სრულიად სწორსა და ბაბაგან გზაზე. ალბათ ამიტომ მოჰხვია ხელი სოსომ და მისწია თავისკენ. ყოველ შემთხვევაში ასე მსჯელობდა მგლური ბუნძულით მიმავალი კუდა.

როცა ისინი ქალაქის განაპირა უბანს მიუახლოვდენ ათი დღის მთვარე უკვე ჩაესვენა და საგრძნობლად ჩამობნელდა. კუდას ბნელ ღამეში ათასი ისეთი ბილიკი გაუვლია, ისეთი ღარდა-ღურდასათვის დაუხწევია თავი, სადაც მისი მეგობრები დღისითაც ვერ გაივლიან, მაგრამ ახლა უკან მთელი გოდორი მიჰქონდა და გარემოებამ ძლიერ უშლიდა ხელს.

პატარა ბოგირის პირად, რომელიც აეშენებიათ მშრალისა, მაგრამ საგრძნობლად მაღალი ნაღარის თავზე, ქ-ნ მარიამს კვლავ მოუნდა ეტლიდან გადავარდნა; სოსომ რასაკვირველია ხელი მოჰხვია, ეტლი ცალმხარედ წაიზნიქა და გადაბრუნდა. კუდას, რომელიც გადაბრუნებულ ეტლთან ერთად გზის პირად დარჩა, ქვემოდან საშინელი ბრაგვანი და უწმაწური სიტყვები შემოესმა. კიდევ კარგი, რომ წვიმისაგან ხევის ძირი გამბალი იყო და მასთან მგზავრები ცალ-ცალკე დაეცენ. მხოლოდ ამ გარემოებით ახსნა კუდამ მათი ცოცხალ-გადარჩენა.

მეორე დღეს, როცა მთელმა ქალაქმა გაიგო ეს ამბავი, კუდას მაყურებელთა მთელი ბრბო დაედევნა.

— მოშორდი, ახლოს არ მოეკარო, ბიპო, გიჟია, დაფეთდებაო, ეუბნებოდენ ერთმანეთს ბავშვები.—გუშინ ღამ თურმე ძაღლი დაინახა, დაფრთხა და კ-ნი სოსო აი იქ ხევში გადასჩეხა.— ერთი დახედე მაგ ვერანას დაა?

კუდა მწუხარედ ოხრავდა ყოველ ამგვარ ბრალდების გაგონებაზე. არა თუ ძაღლისა ეშინია მას; ერთხელ საბალახოზე ორი მშიერი მგელიც კი მოიგერია.

— ახლა დაჰხედე უსამართლობას:—თითონ ხიფათში ჩაიყარეს თავი, მეც კინაღამ თან გადამიყოლიეს და დანაშაული მე ვარ.

(შემდეგი იქნება)

მორიელი

უთავო ძეგლი*)

(გუძდგნი ქ. გორს)

უთავო ძეგლო! რის ნიშანი ხარ,
რა აზრი არის შენში ჩართული,
თავ-მოკვეთილი რისთვისა დგეხარ,
ვინ იყო შენი მკაცრი მსაჯული?

* * *

ნუ თუ ქალაქის აწმყო, წარსულში
ვერ გიპოვნია ჯერ ღირსეული,
რომ უკვდავი ჰყო ხალხისა გულში
და მიზანს იყო შენც მიღწეული!

* * *

ან სიმბოლო ხარ მთელი ქალაქის,
მის **უთავობის** გამომსახველი?
დამდგარხარ მცველათ გორისა კარის,
აბა რას იტყვის შენი მნახველი?!

* * *

თავ-მოკრილი ხარ და ჩვენც თავსა გვკრი,
ზედ ხიდის ყურზე გამოკიმულხარ...
ამვლელ-ჩამვლელთან ურცხვად ხმას გვიყრი—
„მთელი გორისა ემბლემა მე ვარ!“.

ნ. აზიანი.

*) გორში, სწორეთ ხიდის ყურთან, დაიწყეს ამ რამდენიმე წლის წინათ ძეგლის აშენება და რადგანაც არ იციან ის დაუდგან ის ძეგლი, უკანასკნელი ჯერაც დაუმთავრებელია და მეტად აუშნოებს არე მარეს.

ნ. აზიანი.

შეკითხვა.

ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორი ერთ ფრიად საყურადღებო წინადადებას იძლევა:

„ამასთანავე ვაცხადებთ, რომ თუ ვისმე მოეპოვება ძნელად გასარკვევი ტერმინი, ცნება, შემოგვეკითხეთ და თუ ჩვენ სათანადოთ ვერ განვმარტავთ, შეკითხვას შაინც დაგბეჭდავთ“. („თეატრ. ცხ.“ № 38)

მეორე ნახევარი ამ ამონაწერისა იმ განსაცვიფრებელი მორცხვობის ნიშანია, რომლითაც ასე შემკულია „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორი, თორემ რა ტერმინი შეიძლება იყოს, რომ მან ვერ ახსნას. ამიტომ გადავწყვიტე რამოდენიმე უცხო და ჩემთვის უცნობი ტერმინების გასარკვევათ მეც შევაწუხო ჩვენი დაუდალავი მოღვაწე.

შეკითხვა 1. „თეატრისა და ცხოვრების“ მე-36 ნომერში მოთავსებულია ჩვეულებრივ საუკეთესო მეთაური (ალბათ რედაქტორისა) „საბანკო არჩევნები“ ამ წერილში ავტორი ამბობს:

„არა კმარა მხოლოდ ბ უ ღ ლ ა ტ ე რ ი ი ს ცოდნა, საჭიროა ჩვენი ქვეყნის ცნობა და სხვ.

საინტერესოა განგვიმარტავდეს პატივცემული რედაქცია რას ნიშნავს ეს სიტყვა „**ბუღლატერია**“ და ვისთვის არ არის საჭირო მისი ცოდნა:

ბანკის დირექტორისათვის,
თუ ჟურნალის რედაქტორისათვის.

შეკითხვა 2. გაზეთი „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში ვიღაც ბ-ნი ფიგარო სწერდა:

„ბულგარეთმა, როგორც ვხედავთ უკვე გამოაცხადა მობილიზაცია. ჩვენი მოლოდინისამებრ მ ო მ ზ ბ ი ლ ებ უ ლ ი ჯარი მან სერბეთის წინააღმდეგ გააგზავნა“.

დიდათ დაგვავალებს „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქცია თუ გაგვირკვევს, რას ნიშნავს სიტყვა „**მომობილებული**“. ჩვენს პროვინციებში იხმარება სიტყვა **მომოდულებული**. მაგალითად „მომოდულებული გაზეთი „საქართველო“ სწერს და სხვ.

პატივისცემით **ეშმაკი.**





სამკითხველოში ასვლა

ჭიათურაში.

მთიან-გორიანი გახლავთ
ჩვენი ტურფა ჭიათურა.
მაღლა გრილი ჰაერია
დაბლა კი ჰხურს, როგორც ქურა.

ამიტომაც ჩვენმა საბჭომ
ბევრი აღარ იფაფხურა,
აიღო და **სამკითხველო**
გორაკს თავზე დაახურა.

და რადგან გზა არსით უჩანს,
მკითხველი კი არის დიდი,
მთის მწვერვალით სამკითხველოს
ბაწარი აქვს დანაკიდი.

ხალხი ადის და ჩამოდის
ივარჯიშებს აზრს და კუნთებს,
მაგრამ ხელი თუ აუცდა
ცოცხლად ვერც კი დაიკუთებს.

იქ კი, სადაც წინა დროში
სამკითხველომ იმსახურა,
იმავ საბჭომ, ხალხისათვის
კარტის საქმე გაახურა.

ბევრი იწვის ამ საქმეზე,
მაგრამ უფრო მარჯვე ხელი
გახლავთ: სერგო ისაევი
და ალექსანდრ გამრეკელი.





ყველაფერი გადაგვემტერა!

(გურული სცენა)

ვაინის ამბები, ჩემო ბატონებო, ქე იცით ყველაყამ, მარა ჩვენს საქმეს ახლა არ იკითხავთ, ვარესი დავიდარაბა და უბედურება რომ გვადგანა თავზე? ნენა... ნენა... ნენა. რავა ყველაფერი გადაგვემტერა, რავა ეისვარა მონასტერი!!. კაცებს რა გიემტყუნება, აგი ჰავრი-ბუნება რომ მთლად ეისვარა. ქე იძახოდენ ჰეერმა გაგვაჩინა, ჩვენ ბუნების შვილი ვართო, მარა ახლა რომ დუუკვირდი მე ამას, პაწაი ქე მეპაშნიკა ყურში; აბა, შეხედე, თუ არაა აგი მართალი; მართლა რომ ჰაერი ყოფილა ყორიფელი, აგერ სამი წელიწადია, რომ დაგვაქცია ხაიერმა, ზამთარში ზაფხულია და ზაფხულში ზამთარი; წროულს აპრილმა პაწაი ქე გაგვიცინა, იმისანაი ეყვავილდა ადესაის ყურძენი, იმისანა, რომ კაკალი თვალი გაგინათლდებოდა; იმას წევებორკე ძირზე იმით გვედგა სული გურუულებს, იმით ვაპიროობდი ყოლიფერს; გევიხედე და მაისმა ჩამეიკუპრა პირი, იწვიმა და ჩამონისლა, ჩამობნელდა და თლად ჩამეიფოცხა ჩვენი ადესაი ყვავილში. ქე დარჩა გაფოცხილი, ზედ კეკალი არ შერჩენია. ვადამიმცირდა გული, დამიბნელდა თვალები, ვაი, რამდენი მე შევცოდე ღმერთს, მე რაღა მაცხონებს.

ვიფიქრე ადესაი კი დაგვეღუპა, მარა ამ სიმინდს რაც უნდა დამემართოს საყოფათ მევიწევ გაისიზა მეთქი. ვიყიდე რვა აბაზათ ფუთი სიმინდი, მივაბძგვიე და მივაბძგვიე, დავთესე რავარც იქნა, მარა რაი მერე!!! რომ წიესია სკვინჩაი, შაშვი, ჩხართვი, ყვავი, ფუღუ, გახრა თლად, დედო მიწის გულიდან ამოკირტნეს ქე გამიწბილეს თლად ყანა. დავთესე მორე ჯერ, რას ვიზამდი აბა; ახლაც ისე გამიწბილებდენ ყანას, მარა, რავა მოვშორდი! ვუძახე და ვუყვირე ჩიტებს ჰაუ, ჰაუ, ჰაუ, ჰაუ... ვუტკაცუნე და ვუტკაცუნე სატკაცუნაი და რავაც იქნა ქე ვიპატივე. გავმარგლე კიდეც, მშვენიერი ყანა იყო!.. გევიხედე და ივანობისთვეში მეიკუპრა ცაი, ჩამოლუსკუმდა, სთქეშა და სთქეშა წვიმამ, უთქიშინა და უთქიშინა, თელი სამეგრელო და ნახევარი გურია ქე დასპოტა თლად... ჩემი სახლკარი ააფორიაქა, ხულა და საღორე ნოვეს კი-

დობანსავით დაცურავდა წყალში. ასე ქე დაგვაქ-
ცია კაცი ამ შენ ხაიერმა.

დავრჩი ახლა თლად მშრალზე, რაცხა ქრისტეს
ტირილი წროულს იქნება ჩემსას; ცოცხლითაი რა-
ფერ გამევიწყვიტო მტერ-მოყვარეში თავი; იგენის
თავს გამომიწყვეტს და გამომიშხაფავს ღმერთი,
ჩემი გაჭივრება არც მტერს ესმის და არც მოყვა-
რეს. ათასჯერ გამოვაცხადეთ გაზეთებში: ტირილი,
ნუ იქნება, ვოი, იგენისას დავჟედი ტირილზე, ვი-
საც ჩემი არ ესმის. ნუ გვინდა დღეობები: მარიო-
ბა, ღვთისმშობლობა, დედა ღეთისამ ამოწვადა
იგენს სული კისერში, მარა ვინ გეიგონა, ვკითხე:

— რავა თქვენ გაზეთს არ კითხულობთ მეთ-
ქინ?

— რავა არაო, წევიკითხეთ, დღეოხები რომ
მოგისპიათო, მარა ჩვენ მართლა თუ მოსპეთ ამის
შესატყობათ წამოვედითო. აგი მითხრა უსირცხვი-
ლოდ და ქე შამოვასკტი ჩემს კაკალ გულს. მე
რომ ვიყო მარტოტკალაი საცხა გადვიკარგებოდი,
მარა რა ვუყო ჩემს ცოლს ფუნდუკიას და ჩემს
ციცეებს, ბუჟუტიას და ფოსინას. კას დროზე ვე-
ლაპარაკე მე იგენს, რომ შეეშვენ ყურში დარი-
გება, ვუთხარი:

— ბაბა, ბუჟუტია, შენ აგერ მიგცემ ივანი-
კაის სტაქოიას, შენ, ფოსინა, აგერ ხვითოსავით ბი-
ჭია რაფიელაი კალანდაძე და ქე წაყევით, მჭადს
ქე გაჭუმს და ტანზე ჩაგაცუმს და მეტი რა გინდათ
მეთქი. აბრადინი გადამაყარეს თავზე:

— იმისთანა ყრუს ჩვენ რავა წავყობით, იგენს
ინჩი არ ესმისო.

— არა თქვენ სიდოური გუსისტკა სტენტეე-
ბი ხართ, ნასტავლს რომ ეძებთ მეთქინ შეუყვირე.

— შენ რა გესმის, შენ გამოჩერჩეტებულო,
ჩვენ განვითარებული ვართო, მეო, ბუჟუტიამ მი-
თხრა—„გლეხი კაცის“ ისტორია გადაგარგალებუ-
ლი მაქო, ფოსინამ მითხრა—„დედა კაცი და ცო-
ციალიზმი“ თლად ზეპირად ვიცოო, ჩვენ წარმოდ-
გენაშიც გვითამაშია, გამოსცენებული ვართო.

— ვუთხარი, ჩემი გეიგონეთ თვარა, თქვენი
გამოსცენება კი ვიცი, იმ ცხვირ დაგრძელებულ
ბიჭს, თავზე რომ ჩამოუბონძღავს გახუნებული ცი-
ლინდრი ნუ დაყობით კვალში, თვარა თქვენ თავს
ვერ გამომართუმს კაცი ხელში მეთქინ. ასე ვუთ-
ხარი აგი, არა სულს ვერ დავწვავ, სირცხვილი
არ უჭმოვიენ და არც მაჭუმენ ჩემი ციცეები, ამის
იმედი კი მაქ, მარა, მაინც შევაშიშხართე, კაია,
მუუხთება ციცაებს შიშხართი. აი, მაშვინ იყო
ვაინამდი აი ამბავი. ახლა მოგეცა სიცხე, იგენს
ეცვალა ფერი ვაინში რომ გახიკეს ყველა ყმაწვი-
ლები, იცოცხლე იგენი შეშინდენ, ახლა მგონი
სტაქოიას კი არა ქველიეს გოგიას და კასიანა ლო-
მაძესაც კი წაყობიან, თუ ქნა იგენმა,

ერთ საღამოს ყანიდან რომ მოვედი, შემო-
ვადგი ფეხი სახლში თუ არა, მაშინათვე ზაფრა მე-
ტეკა, ჩემი ბუჟუტიე და ფოსინაი ჩამჯდარა ნაცარ-
ში და ჩაკუპრული ქე არიან.

— რა ამბავია თქვენს თავზე, ციცავ ბუჟუ-
ტიავ მეთქინ!

— აფერი, ისე სკუჩნათ ვართო.

ლუკაიეს ობოლი.

„ბედის შემოქმედი“

ა. ჩეხოვისა.

ნიკოლოზის რკინის გზის სადგურ „ბოლოგოე-
ში“ სამგზავრო მატარებელი დაიძრა. მეორე კლა-
სის ერთ-ერთ ვაგონში ხუთიოდე მგზავრი სთვლემს.
ეს არის დანარყდნენ სადგურის ბუფეტში და ეხლა,
ვაგონის ბინდით გარემოცულნი, მიყრდნობიან სა-
ვარძლის ზურგს და დაძინებას ცდილობენ. სიჩუმეა.

კარი გაიღება და ვაგონში შემოდის ღვინის-
ფერ ქუდიანი და კოხტა პალტოიანი სარიკით მა-
ღალი კაცი, რომელიც ძალიანა ჰგავს ოპერეტის
მსახიობს, ან კიდევ ჟიულ-ვერნის კორესპონდენტსა.

ახალ შემოსული შუა ვაგონში გაჩერდება,
ქშინავს და დიდხანს უცქერის სავარძლებს.

— არა, არც ეგ არის!—ბუტბუტებს კაცი.—
დასწყევლოს ღმერთმა! სწორედ საკვირველია!...
არ არის, არა!

ერთი მგზავრთაგანი ჩაჰხედავს ახალ შემო-
სულს და სიხარულით წამოიძახებს:

— ივან ალექსეიჩ! საიდან სადაო? ეგ შენა
ხარ?

აყლაყუდა ივან ალექსეევიჩი შეკრთება, ჯერ ჩააკვირდება მგზავრს და რომ იცნობს, მხიარულათ გაშლის ხელებს.

— ააა! პიოტრ პეტროვიჩ! გამარჯობა! რამდენი ხანია ერთმანერთი არ გვინახავს! ღმერთო ჩემო, მე არც კი ვიცოდი, თუ შენც ამ მატარებლით მოდიოდი.

— სხვა, როგორა ხარ?

— არა მიშავს რა! მხოლოდ საქმე ის არის, გეთაყვა, რომ ვაგონი დავკარგე და ვერას გზით ვერ მიპოვია! ვირი ვარ, ვირი! სწორეთ საცემარი ვარ, პატრონი რო მყავდეს!

სარის მსგავსი ივან ალექსეევიჩი ქანაობს და ხითხითებს.

— არა, გინახავს, კაცო? – განაგრძობს ის.— მეორე ზარი რო დაჰკრეს სადგურზე გავედი, კონიაკს გადავკრავ მეთქი. ვყლუნწე, რასაკვირელია ერთი რიუმკა, ხოლო, ვინაიდან შემდეგი სადგური შორს არის, მეორეც მივაყოლე. ამასობაში მესამე ზარიც დარეკეს... გამოვარდი გიჟივით და ალალბედზე უახლეს ვაგონში ვტუცე თავი! არა, ვირი არა ვარ, თუ ღმერთი გწამს? ინდაურის მოდგმა ვარ სწორეთ, ინდაურის.

— შენ ძაან მხიარულ გუნებაზე ხარ! — ეუბნება პიოტრ პეტროვიჩი.— დაბრძანდი, რას უდგეხარ?

— ა-პა-პა-პა! არას გზით! უნდა წავიდე, ჩემი ვაგონი ვიპოვო! ნახვამდის!

— ამ ბნელში, კაცო, ვაგონის ბაქანზე გადავარდები! დაჯექი, ვიდრე შემდეგ სადგურამდე მივიდოდეთ და მაშინ მონახე შენი ვაგონი. დეჯექი!

ივან ალექსეიჩი ამოიოხრებს და ჩამოჯდება პიოტრ პეტროვიჩის პირდაპირ. ეტყობა, ძალიან ატაცებულია, ცქმუტავს და ვერ ისვენებს, თითქო ტკალზე ზისო.

საით მიდიხარ?—ჰკითხავს პიოტრ პეტროვიჩი.

— მე? სივრცეში, მეგობარო! ღმერთს გეფიცები, თავში ისეთი ბაბილონი მიტრიალებს, რომ მეც არ ვიცი, საით მივდივარ! აი, მივყევარ ბედსა და მეც მივდივარ. ხა-ხა-ხა... გეთაყვა, გინახავს შენ როდისმე – ბედნიერებით აღსავსე ვირი? არ გინახავს? მაშ მიცქირე! შენს წინაშე სდგას უუბედნიერესი მომაკვდავი! დიახ! ნუ თუ სახეზე არაფერი მეტყობა?

— გეტყობა, რომ... ცოტა არ იყოს...

— ალბათ ამ წუთში ზედმიწევნით სულელური სახე მაქვს, ? სარკე მაინც მქონდეს, ჩემი დინგი დავათვალიერო! ვგრძნობ, რომ თან-და-თან ვირს ვემსგავსები! ღმერთს გეფიცები! ხა-ხა! არა, შენ წარმოიდგინე, კაცო: ეხლა მე საქორწილო მოგზაურობაში ვარ! აბა, ინდაურის მოდგმა არა ვარ მე ეხლა?

— შვენა? განა შვენ ცოლი შეირთე?

— დღეს, ჩემო კეთილო, სწორეთ დღესა! დავიწერეთ ჯვარი და პირდაპირ მატარებელში ჩავსხედით, მაშ!

— ერთი ამას უყურეთ! — იცინის პიოტრ პეტროვიჩი.—მეც არ გამიკვირდა, ეგრე კოხტათ რომ გამოწყობილხარ?

— მა რა გეგონა! ის კი არა, სურნელვანი წყალიც კი ვისხურე! კისრამდე ვარ ჩაფლული ამ სოფლის ამაობეში! არც ზრუნვა ვიცი, არც ფიქრი! არაფერსა ვგრძობ... ვგრძობ მხოლოდ რაღაც... დასწყევლოს ღმერთმა, ვერც კი გამომითქვამს... რა ჯანდაბაა... ერთი სიტყვით უაღრეს განცხრომაში ვარ! ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს ასეთი ბედნიერება!

ივან ალექსეევიჩი თვალებს ხუჭავს და თავს ატრიალებს.

— უნამუსოთ ბედნიერი ვარ.—განაგრძობს ის.—არა, შენ თითონ გასაჯე. აი, წავალ ეხლა ჩემს ვაგონში. იქ კი, სავარძელში, ფანჯარასთან ზის... არსება, რომელიც, როგორა ვსთქვა,... მთელი თავისი არსებით მე მეკუთვნის... ქერა გოგონა... პაწაწინა ცხვირი... თითები... შენ კი გენაცვალე, ჩემო სულის კლიტეე! ანგელოზო! ჩემო პატარა ციცუნია! ჩემო გულის ფილოქსერავ! არა, ახლა ფეხი სთქვი შენა,—და! ფეფი! იქნებ გგონია, ჩვენს თათებსა ჰგავდეს! ვერ მოგართვი! ფეხი კი არა, რაც ჰაეროვანი რამ არის, ალეგორიული! ასე გონია, ავიღებ და გემრიელად შევახრამუნებ იმ პაწაწა ფეხებსო! ეხ, შენ რა გესმის! შენ ხომ მატერიალისტი ხარ, მაშინვე ანალიზსა და ჯანდაბას დაიწყებ! ან კი რა უნდა გეკითხებოდეს გამოფიტულ უცოლო კაცს. აი, ცოლს რო შეირთავ მაშინ კი მომიგონებ! სად არის ეხლა ივან ალექსეიჩიო, იტყვი! დიახ!.. ჰოდა... წავალ ეხლა ჩემს ვაგონში... იქ მოუთმენლათ მიმელის ჩემი კუკუნია... წინდაწინვე სტკბება ჩემი მისვლით... გამიღიმებს... მე მოვუჯდები გვერდით და აი, ასე, ამ ორი თითით ნიკაპზე მოუცაცუნებ...

ივან ალექსეიჩი თავს ატრიალებს და ბედნიერათ ხარხარებს.

— მერე ჩამოვადგ გოგრას მხარზე და წელზე ხელს შემოვხვევ. ირგვლივ კი, გესმის, სიჩუმეა... პოეტური ბინდი სუფევს. ეხ, იმ წუთს, ღმერთს გეფიცები მთელ დედა-მიწას გულში ჩაიკრავს კაცი. პიოტრ პეტროვიჩ! მოდი ერთი გულში ჩაგიკრა!

— ინებე, შენი ჭირიმე.

მეგობრები ერთმანერთს გადაეხვევიან და მთელი ვაგონი იცინის; ივან ალექსეიჩი განაგრძობს.

— აი როგორც რომანებში იტყიან, მეტი ილიუზიისათვის, შეირბენ ბუფეტში და ორსამ რიუმკას ჩააკოკლოზინებ. გადაჭერავ თუ არა, თავში და, აი აქ, გულში, ისეთ რასმე იგრძნობ, რაც სიზმრათაც არ მოგლანდებია. ხომ პატარა და უმნიშვნელო კაცი ვარ, და იმ დროს ასე მგონია, საზღვარი არა მაქვს-მეთქი... დედამიწას ხელს დავავლებ და ავათამაშებ მეთქი!

შეზარხოშებულსა და ბედნიერ ახალგვარდაწერილს რომ უყურებენ მგზავრები, თავადაც მხიარულ გუნებაზე მოდიან და აღარ ეძინებათ. ეხლა ივან ალექსეევიჩს ერთის მაგიერ ბარე ხუთი კაცი უგდებს ყურს. ის კი წამდაუწუმ ტრიალებს, ხელებს აქნევს და დაუსვენებლივ ყბედობს. თითონაც ხარხარებს და მასთან ერთად ყველანი ხარხარებენ.

— უმთავრესი რა არის, იცით?—განაგრძობს ბედნიერი კაცი.—რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იფიქროთ. შორს ყოველივე ფიქრი და ანალიზი! დალევა გინდა,—დალიე! აბა რა საჭიროა აქ რაღაც ფილოსოფიური მსჯელობა, გავნებს თუ გარგებს დალევა? ყველა ამ ფილოსოფიასა და ფსიხოლოგიას ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, ახლოც არ უნდა გაიკაროთ!

ვაგონში კონდუქტორი გაივლის.

— გეთაყვა,—მიუბრუნდება მას ახალ დაქორწინებული:—209 № ვაგონში რომ გაიაროთ, მონახეთ, თუ ღმერთი გწამთ, რუხ ქუდიანი ქალი, თეთრი ფრთა აქვს ქუდზე, და უთხარით, რომ მე აქა ვარ.

— კარგი, ბატონო. მაგრამ ამ მატარებელში 209 № არ გახლავთ, 219 გახლავთ!

— ჰოდა 219 იყოს! სულ ერთია! ასე უთხარით: თქვენი ქმარი საღსალავათად არის, არაფერი გასჭივრებია თქო!

ივან ალექსეიჩი უცებ თავზე ხელს მოიკიდებს და კვნესის.

— ქმარი!.. ცოლი!.. აი, დასწყევლოს ეშმაკმა! მე-ქმარი?! მე კიდევ არაფერი,-ისა, ის!.. გუშინდელი ბალღი, ცუგრუმელა გოგონა და დღეს კი ცოლი! არა, როგორ დავიჯერო?

— ჩვენ დროში ბედნიერი კაცის შეხვედრა სწორეთ რომ საკვირველია.—ამბობს ერთი მგზავრთაგანი:—უმალ თეთრ სპილოს ნახავ, მგონი, ვიდ ბედნიერ ადამიანს.

— მერე ვისი ბრალია?—გამოართმევს სიტყვას ივან ალექსეიჩი.—თუ თქვენ ბედი არ გწყალობთ, თქვენივე ბრალია! დიახ, თქვენივე! მაშ რა გეგონათ? ადამიანი თავად არის თვის საკუთარ ბედნიერების შემოქმედი, გესმით? ოღონდ მოისურვეთ და, მერწმუნეთ, იქნებით კიდეც ბედნიერი! თქვენ კი განზრახ გაურბიხართ ბედნიერებას!

— ერი ჰა! როგორ, რა გვარათ?

კახური ტიპები.

კახეთის აგრონომი ათვალიერებს სოფ. საგარეჯოს სადგურზე სიმინდის ყანებს.

— სულ ადვილათ!.. აი, ყური მიგდეთ: ბუნებამ დაადგინა, რომ კაცმა თავის დროზე სიყვარულის ხილი იგემოს. დადგა ეს დრო, არა? შეიყვარე, რაღა, რაც ძალი და ღონე გაქვს, თქვენ კი ბუნებას ყურსაც არ უგდებთ და სულ რაღაც ჯანდაბას უყურყურებთ! შემდეგ... კანონში სწერია, რომ ყოველმა პატიოსანმა კაცმა ცოლი შეირთოს. უცოლოდ ბედნიერება არ იქნება! მოაღწევს თუ არა სათანადო დრო, წადი საყდარში და ჯვარი გადაიწერე... მაგრამ თქვენ ხომ არ გეჩქარებათ ქორწინება.,. სულ რაღაც ჯანდაბას უყურყურებთ! მერე... სამღვთო წერილი ბრძანებს, რომ ღვინო ახარებს გულსა კაცისასა... თუ რომ კარგათა ხარ და გინდა, კიდევ უფრო კარგათ იყო, განიბერტყე მტვერი ფერხთა შენთა და გაემართე ბუფეტსა შინა დალევად ღვინისა. საქმე ისაა, რომ სიბრძნესა და ფილოსოფოსობას უნდა თავი დაანებო და ადათისა და შაბლონის მიხედვით იცხოვრო. დადებული რამ არის შაბლონი!

— თქვენ ამბობთ, რომ კაცი თავად არის თვისი ბედის შემოქმედი. ერთი მიბრძანეთ, სადაური შემოქმედია, თუ კი საკმაოა ერთი ტკივანი კბილი ან კიდევ ავი სიდედრი, რომ ადამიანის ბედნიერება ყირამალა წამოვიდეს. ყველაფერი შემთხვევაზე ჰკიდია! აი, შეგვემთხვას ერთი კუკუევის კატასტროფა, ვნახავ მაშინ რა კილოზე აპიკპიკდებით!

— სისულელეა!—არ იშლის თავისას ახალჯვარდაწერილი.—კატასტროფები და ასეთი უბედურება წელიწადში თითო ჯერ ხდება ხოლმე. არავითარი შემთხვევისა არ მეშინიან, რადგან არის იმის საბაბი, რომ ეს შემთხვევა შეგვემთხვას. ათასში ერთხელ რაღაც მოხდება! ჯანდაბას! ლაპარაკიც კი არ მინდა ამაზე... მადლობა ღმერთს, მგონი მივაღწიეთ სადგურს.

— თქვენ ეხლა საით მიემგზავრებით?—ჰკითხავს პიოტრ პეტროვიჩი.—მოსკოვში თუ სადმე უფრო სამხრეთისაკენ.

— დიდა მშვიდობისა! როგორ უნდა გავჩნდე სადმე სამხრეთისკენ ჩრდილოეთით მიმავალი კაცი?

— მერე განა მოსკოვი ჩრდილოეთით არის?

— ვიცი, მაგრამ ჩვენ ხომ პეტერბურგში მივდივართ ეხლა!

— მოსკოვში მივდივართ. კაცო, ხომ არ გადაირიე!

— როგორ თუ მოსკოვში მივდივართ? ამბობს გაოცებული ივან ალექსეიჩი.

— საკვირველია, ღმერთმანი! კაცო, შენ რა ბილეთი აიღე?

— პეტერბურგისა!

— ჰო და, მაშ მომილოცავს. სხვა მატარებელში ჩამჯდარხარ!

სიჩუმე ჩამოვარდება. ახალ დაქორწინებული წამოდგება და გაშტერებულ თვალებს მოავლებს იქ მყოფთ.

— ჰო, ჩემმა მზემ, ულხინის პიოტრ პეტროვიჩი, „ბოლოგოეში“ აგრევია და შეხვედრილ მატარებელში ჩამჯდარხარ.

ივან ალექსეიჩი ფითრდება, თავში ხელს წაივლებს და ბოლთასა სცემს ვაგონში.

— ვირი ვარ, ვირი! ბუტბუტებს ივან ალექსეიჩი. უნამუსო კაცი ვარ, არამზადა! რაღა მეშველება ახლა? იმ მატარებელში ცოლი ზის! მარტოდ მარტო! მიცდის, იტანჯება! ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი!

ახალ ჯვარდაწერილი სავარძელზე დავარდება და ისე იკრუნჩხება, თითქო მეჭეჭზე დაადგეს ფეხიო.

— უბედური კაცი ვარ, უბედური! კვნესის ივან ალექსეიჩი. რაღა ვქნა ეხლა? რა მეშველება?

— კარგი, კარგი! ანუგეშებენ მგზავრები. რა ვუყოთ მერე? თქვენ დეპეშით შეატყობინეთ თქვენს ცოლს, თითონ კი როგორმე კურიერის მატარებლით წადით და დაეწევით.

— კურიერის მატარებლით! სტირის ახალ დაქორწინებული „ბედის შემოქმედი“. მერე ფული სად არის კურიერის მატარებლისათვის? ჩემი ფული ხომ სულ ცოლსა აქვს!

მგზავრები ჩუმათ ჰკრებენ ფულს თავიანთ შორის და სიცილ-ხარხარით გადასცემენ ბედნიერ კაცს.



ალსასრულ ადამიანის ტანჯვისა!

სუსუნატის წამლობა.

ნ წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „**რაპიდი**“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავათმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „**რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის**, ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენ[illegible] **და „რაპიდ-“ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მამთს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რო ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „**რაპიდ“-ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა: „მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ **რვა** მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდ“-ისათვის, რომელმაც ერთბაშათ იქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დავრწმუნდი, განმეორებით გიხდით მადლობას.

ნოგორროდ 14 მარტი, 1914 წ. ბ. ნ. ბ. ნ.

წალმობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდადებით ათი მანეთი. ფასდადებით გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдѣленіе Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушзинская 3 отд. э/м. верхный этажъ.

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**, ხოლო გამოცემის ხაქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი -- 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ყუნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყეს მოვაგონებთ, რომ
✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ᲛᲘᲠᲘᲗᲘᲗ

ᲨᲐᲜᲓᲘᲡ

ᲒᲐᲣᲬᲐᲠᲗᲘᲚᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲯᲐᲜᲓᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ — ᲛᲘᲘᲠᲗᲘᲗ

ᲮᲘᲚᲣᲚᲘ-ᲛᲐᲒᲜᲔᲢᲘᲡ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲚᲘᲗᲘᲜᲘᲡ,
ᲧᲕᲔᲚᲐᲜ!

— ამბობდენ და გაზეთებშიაც წერდენ, რომ იაპონიის ადმირალმა მეომარი კაპიტნები ბრძოლის დაწყების წინ წყლით ადღეგრძელაო. მე სულელს მაშინ ეს ამბავი მეცინებოდა, ვამბობდი თუ ის კაცი რა კაცი უნდა იყოს ვინც ღვინოს არა სვამს და სადღეგრძელოს წყლით მიირთმევს მეთქი. ახლა კი როცა მე თვით გამოვცადე, მჯერა რომ იაპონიამ მისთვის გაიმარჯვა, რომ ღვინოს არა სვამდა. ღვინის გადამკიდეს რა ხეირი დაეყრება. ჯიბის სიცალიერე და აეროზაური სულ ღვინის ბრალია. ციხეში ვინც იტანჯება ნახევარზე მეტი სულ ღვინის მიზეზია. როცა ღვინის სმას თავი დავანებე და წყლის სმა დავიწყე კაციც მერე ვარ და ქუდიც მერე **მხურავს**! ცოლშვილიც მერე შემიყვარდა და ბარაქაც მერე დამეტყო. წყალი ყველა კარგია, მაგრამ **ლალიძის** ქარხნის წყალთან ფას ყველა, მასთან ვერც ერთი თავს ვერ მოვა. მიირთვით გენაცვა **ლალიძის** **წ**ყალი დასტკბით და ისიამოვნეთ!

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“ რედაქტორ-გამომც. თეოფილე ბოლქვაძე